საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-02/189

ქ. ბათუმი 29 ოქტომბერი, 2021 წელი

2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 18 ოქტომბრის N01-02/179 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნანა ყურშუბაძის 2021 წლის 26 ოქტომბრის MES 7 21 0001143316 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 18 ოქტომბრის N01-02/179 ბრძანების პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. გამოცხადდეს კონკურსი 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მობილობის განსახორციელებლად ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შერჩევის მიზნით და განისაზღვროს შემდეგი საკონკურსო ვადები:

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება 2021 წლის 19 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრის 18:00 საათამდე, (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დახმარებით) - ელექტრონულ ფოსტაზე: http://registration.bsu.ge და erasmus@bsu.edu.ge. საკონკურსო დოკუმენტაცია შეიძლება წარმოადგინოს იმ პირებმა, რომლებმაც მიიღეს შეფასება (ჩააბარეს გამოცდა) ინგლისურ/ გერმანულ ენებში (B1- B2) 2021 წლის 16 სექტემბერსა და 19 ოქტომბერს ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის კონკურსში მონაწილეობის მიზნით.

ბ) 2021 წლის 31 ოქტომბერი, 13:00 საათი - დამატებითი გამოცდა (ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენებში ტესტირება - B1- B2 დონე);

გ) საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება - 2021 წლის 02 ნოემბერი - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის (საკონკურსო კომისიის) მიერ.

დ) გასაუბრება საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან - 2021 წლის 03 ნოემბერი, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენთებთან 2021 წლის 05 ნოემბერი (ჩატარდეს საკონკურსო კომისიასთან მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35-ში, ბსუ-ს პირველი კორპუსი, ოთახი №35). გასაუბრების ჩატარების ზუსტი დრო დამატებით ეცნობოს სტუდენტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე;

ე) კონკურსანტთა სიების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტში - 2021 წლის 15 ნოემბერი.

2. ბრძანების ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდსა (კონკურსების ველში) და საინფორმაციო დაფებზე (კანცელარიასთან და ფაკულტეტებზე) განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა და კანცელარიამ, მათი კომპეტენციების შესაბამისად.

3. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს), საკონკურსო კომისიის წევრებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და რექტორის მოადგილეებს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი მ. ხალვაში